## ხელშეკრულება №79

ქ. ნინოწმინდა 19. 08. 2011წ.

ერთის მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში „შემსყიდველი„) საკრებულოს თავმჯდომარის – ვლადიმირ სტამბოლციანის სახით, და მეორეს მხრივ, ი/მ გია ხორგოლაშვილი შემდგომში „მიმწოდებელი" საქართველოს კოდექსის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1. 1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს წიგნი „საქართველოს მმართველთა აზროვნების მიმართება საყოველთაო და ერთადერთ სუბსტანციასთან მსოფლიოს კლასიკური ფილოსოფიის აზრით".

### 2. ანაზღაურების წესი და პირობები

2.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი ანგარიშ - ფაქტურის საფუძველზე.
2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.
2.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

### 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ისინი გამოწვეულია მხარეებისაგან დამოუკიდებელი გადაულახავი ძალის შედეგად, ე.ი. მოცემულ პირობებში განსაკუთრებული და აღუკვეთავი გარემოებების შედეგად.

### 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 19 აგვისტოდან 19 სექტემბრამდე.
4.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
4.3. ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, მეორე მხარისათვის 30 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

### 5. მარეგულირებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

5.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით.
5.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 6.დასკვნითი დებულებები

6.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) იდენტურ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომლებიც გადაეცემა მხარეებს.
6.2. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა შესაძლო დანართი იქნება ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და მათი არსრულება იწარმოება მოცემული ხელშეკრულების ყველა დანარჩენ პირობასთან ერთად.

*7. მხარეთა რეკვიზიტები:*

*„შემსყიდველი"*

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ვლადიმირ სტამბოლციანი

მისამართი: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის 48
საბანკო რეკვიზიტები - "ლიბერთი ბანკი" ნინოწმინდის ფილიალი
ს/კ 236689669,
ბ/კ 220101494,
ა/ა GE51LB0120146252122000

*„მიმწოდებელი"*

ი/მ გია ჩორგოლაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი,
საბანკო რეკვიზიტები –„საქართველოს ბანკი"
ს/კ 01023002074,
ბ/კ BAGAGE22,
ა/ა GE58BG0000000644140100